ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა № 188

26 აპრილი
"---" -------- 2024 ∀

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს, მაია სულხანიშვილის (პ/ნ. 01030011877) უფლებამონაცვლე ნუკრი ცისკაძესა (პ/ნ. 01030053040) და ციცინო დევრისაშვილს (პ/ნ. 01023003411) შორის გასაფორმებელი მორიგების აქტის მოწონების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ა" ქვეპუნქტის 118[1] მუხლის პირველი და მესამე პუნქტების და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის და მე-2 მუხლის მე-6 პუნქტის საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს, მაია სულხანიშვილის (პ/ნ 01030011877) უფლებამონაცვლე ნუკრი ცისკაძესა (პ/ნ 01030053040) და ციცინო დევრისაშვილს (პ/ნ. 01023003411) შორის გასაფორმებელი მორიგების აქტის მოწონების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 24 აპრილის №24.677.786 განკარგულებით გათვალისწინებული მორიგების აქტის გაფორმების თაობაზე და აღნიშნული მორიგების ფარგლებში №01.10.18.009.934 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონების ციცინო დევრისაშვილისთვის (პ/ნ. 01023003411) გადაცემის, ხოლო №01.10.18.009.935 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონების მაია სულხანიშვილის (პ/ნ 01030011877) უფლებამონაცვლე ნუკრი ცისკაძისთვის (პ/ნ 01030053040) გადაცემის თაობაზე, ამავე განკარგულების დანართით წარმოდგენილი მორიგების აქტის პროექტის პირობების შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე

პროექტი

დანართი

მორიგების აქტი

ქ. თბილისი [●] აპრილი 2024 წელი

ერთი მხრივ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა (შემდგომში - მთავრობა), ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია (შემდგომში - მერია) წარმოდგენილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს [●] მიერ და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტო (შემდგომში - სააგენტო), წარმოდგენილი [●] მიერ

მეორე მხრივ, მოსარჩელეები ციცინო დევრისაშვილი (პ/ნ: 01023003411) და მაია სულხანიშვილის (პ/ნ: 01030011877) უფლებამონაცვლე ნუკრი ცისკაძე (პ/ნ: 01030053040) (შემდგომში ცალ-ცალკე წოდებული, როგორც „მხარე", ხოლო ერთად, როგორც „მხარეები") ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის [●] განკარგულების საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე მორიგების აქტს (შემდგომში - „მორიგების აქტი"):

ვინაიდან:

- თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 12 ივნისის გადაწყვეტილებით (საქმე №3/8-09) დაკმაყოფილდა მაია სულხანიშვილის და ციცინო დევრისაშვილს სარჩელი და ქალაქ თბილისის მთავრობას დაევალა „ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე ინდივიდუალური ბინათმშენებლობისათვის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების პირდაპირი წესით განკარგვის შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2003 წლის 30 იანვრის №93 განკარგულების შესაბამისად, ქ. თბილისში, ლისის ტბისა და ვაშლიჯვრის მიმდებარე ფერდობზე 600-600 კვ.მ მიწის ნაკვეთზე დავით ლონგურაშვილის უფლებამონაცვლე ციცინო დევრისაშვილთან და მაია სულხანიშვილთან ხელშეკრულების გაფორმება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ აღნიშნულ საქმეზე 2020 წლის 28 მაისს გაცემული იქნა სააღსრულებო ფურცელი (საქმე №3/8-09). თუმცა, დღეის მდგომარეობით, მხარეთა შორის შეთანხმების მიუღწევლობის გამო, სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილება არ აღსრულებულა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტომ 17.09.2020წ. №61-01202612232, 23.07.2021წ. №61-01212042280, 10.12.2021წ. №61-01213442985 და 18.02.2022წ. №61-01220493394 წერილებით, სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით, მაია სულხანიშვილს და ციცინო დევრისაშვილს შესთავაზა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სხვადასხვა მიწის ნაკვეთების საკუთრებაში გადაცემა, თუმცა მხარეთა შორის შეთანხმება არ შედგა.

2021 წლის 22 თებერვალს ციცინო დევრისაშვილმა და მაია სულხანიშვილმა სარჩელით მიმართეს თბილისის საქალაქო სასამართლოს მოპასუხეების: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს და ირაკლი თავართქილაძის მიმართ და მოითხოვეს მოპასუხეებს სოლიდარულად დაეკისროთ ციცინო დევრისაშვილის სასარგებლოდ 152 400 აშშ დოლარის ექვივალენტი თანხის გადახდა; მაია სულხანიშვილის სასარგებლოდ 152 400 აშშ დოლარის ექვივალენტი თანხის გადახდა; ასევე, მოპასუხეებს სოლიდარულად დაეკისროთ მოსარჩელეებზე 2010 წლიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე ყოველწლიური თანხის 8%-ი მიუღებელი ზიანის სახით (საქმე №3/1031-22).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტომ 31.10.2023წ. №61-01233042232 წერილით მიმართა მოსარჩელეებს და სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით შესთავაზა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში

არსებული №01.10.18.009.935 და №01.10.18.009.934 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების საკუთრებაში გადაცემა, რაზეც 22.02.2024წ. №22/01240532700-61 განცხადებით მხარეებმა თანხმობა განაცხადეს.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოში ნიკოლოზ ლონგურაშვილის მიერ 26.02.2024წ. №19/01240572380-61 წარმოდგენილი იქნა მოთხოვნის უფლების დათმობის ხელშეკრულება, რომლითაც მაია სულხანიშვილი, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 12 ივნისის გადაწყვეტილებიდან გამომდინარე ყველა სახის მოთხოვნის და მათ შორის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას თმობს ნუკრი ცისკაძის სასარგებლოდ. თავის მხრივ, ნუკრი ცისკაძე (პ/ნ: 01030053040), კისრულობს მაია სულხანიშვილისგან გადაცემულ უფლებებს და მასთან დაკავშირებულ მოვალეობებს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილის, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილის, 272-ე მუხლის „დ" ქვეპუნქტის, 273-ე მუხლის მე-2 ნაწილის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის [●] განკარგულების საფუძველზე, მხარეები თანხმდებიან სასამართლოს მიერ დამტკიცდეს მორიგების აქტი შემდეგი პირობებით:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა, თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ 2020 წლის 28 მაისს გაცემული სააღსრულებო ფურცლის აღსრულების მიზნით (საქმე №3/8-09), წინამდებარე მორიგების შესრულების სანაცვლოდ, მოსარჩელეს ციცინო დევრისაშვილს (პ/ნ: 01023003411) საკუთრებაში გადასცემს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ, №01.10.18.009.934 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთს. ხოლო, მოსარჩელეს მაია სულხანიშვილის (პ/ნ: 01030011877) უფლებამონაცვლეს, ნუკრი ცისკაძეს (პ/ნ: 01030053040) საკუთრებაში გადასცემს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ №01.10.18.009.935 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთს, რაზეც მოსარჩელეები აცხადებენ თანხმობას. მოსარჩელეები აცხადებენ და ადასტურებენ, რომ მათთვის წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული უძრავი ქონების საკუთრებაში გადაცემით, ამავე პუნქტში მითითებული სააღსრულებო ფურცელი მიიჩნევა სრულად აღსრულებულად.

2. ციცინო დევრისაშვილი (პ/ნ: 01023003411) და ნუკრი ცისკაძე (პ/ნ: 01030053040),) აცხადებენ და ადასტურებენ, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული №01.10.18.009.934/№01.10.18.009.935 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების საკუთრებაში მიღების სანაცვლოდ, ქალაქ თბილისის მთავრობის 2001 წლის 24 იანვრის №01.45.42 დადგენილებისა და საქართველოს პრეზიდენტის 2003 წლის 30 იანვრის №93 განკარგულების საფუძველზე გამოყოფილ მიწის ნაკვეთებთან დაკავშირებით არანაირი პრეტენზია/მოთხოვნის უფლება არ აქვთ და არც სამომავლოდ შეიძლება ჰქონდეთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის/მისი ორგანოების, ასევე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს ან/და მისი უფროსის, ირაკლი თავართქილაძის მიმართ.

3. ციცინო დევრისაშვილი (პ/ნ: 01023003411) და ნუკრი ცისკაძე (პ/ნ: 01030053040) უარს აცხადებენ დავის ფარგლებში (საქმე №3/1031-22), ასევე, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 28 მაისს გაცემული სააღსრულებო ფურცლის (საქმე №3/8-09) საფუძველზე, ნებისმიერი სახის ზიანის, ზარალის, გადახდილი თანხების, მიუღებელი შემოსავლის ან/და სხვა თანხების/სახსრების ანაზღაურების თაობაზე და ადასტურებენ, რომ მათ არ აქვთ უფლება ხელმეორედ მიმართონ სასამართლოს დავაზე იმავე მხარეებს შორის, არსებითად იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით. ამასთან, მხარეები აცხადებენ და ადასტურებენ, რომ მათთვის ცნობილია №01.10.18.009.934/№01.10.18.009.935 საკადასტრო

კოდებით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების უფლებრივი და ფაქტობრივი მდგომარეობის შესახებ, მათ შორის აღნიშნულ მიწის ნაკვეთებზე რეგისტრირებული შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ (ს/ნ 203826002) საკუთრებაში არსებული ხაზობრივი ნაგებობის (საკადასტრო კოდით: **01.01.834/01.00.287)** და სხვა შესაძლო არარეგისტრირებული კომუნიკაციების თაობაზე და მორიგების გაფორმების შემდგომ არანაირი პრეტენზია/მოთხოვნის უფლება არ აქვთ და არც სამომავლოდ შეიძლება ჰქონდეთ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის/მისი ორგანოების, ასევე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს ან/და მისი უფროსის, ირაკლი თავართქილაძის მიმართ.

4. მხარეები თანხმდებიან, რომ წინამდებარე მორიგების აქტის სასამართლოს მიერ დამტკიცების საფუძველზე, შეწყდება სასამართლო დავა საქმეზე (საქმე №3/1031-22)

5.მხარეები თანხმდებიან, რომ არ გაასაჩივრებენ წინამდებარე მორიგებას და იგი ძალაში შედის თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ მისი დამტკიცებისა და საქმის (საქმე №3/1031-22) შეწყვეტის თაობაზე სასამართლოს მიერ მიღებული განჩინების კანონიერ ძალაში შესვლისთანავე.

6. წინამდებარე მორიგების დამტკიცების შესახებ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განჩინების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ, უძრავი ქონებაზე ს/კ №01.10.18.009.934 ციცინო დევრისაშვილს (პ/ნ: 01023003411), ხოლო უძრავი ქონებაზე ს/კ №01.10.18.009.935 ნუკრი ცისკაძეს (პ/ნ: 01030053040) საკუთრების უფლება გადაეცემა საკუთრების უფლების მორიგების აქტის საჯარო რეეტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრაციის მომენტიდან.

7. მორიგების აქტი შედგენილია 6 (ექვსი) ეგზემპლარად, რომელთაგან - 1 ეგზემპლარი გადაეცემა ციცინო დევრისაშვილს (პ/ნ: 01023003411), 1 - ნუკრი ცისკაძეს (პ/ნ: 01030053040), 1 - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას, 1 - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს,1 - სასამართლოს და ერთი ეგზემპლარი წარედგინება საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სარეგისტრაციო სამსახურს. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტომ წარადგინოს წინამდებარე მორიგების აქტი სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოში რეგისტრაციის მიზნით.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სახელით სსიპ - ქონების მართვის სააგენტო _____ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს სახელით _____	ციცინო დევრისაშვილი (პ/ნ: 01023003411) _____ ნუკრი ცისკაძე (პ/ნ: 01030053040) _____